№ 103 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წლიწადი მეხუთე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. სამშაბათი, მაისი 11 1920 წ.

ჩთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 მაისს დილის 11 საათზე ქ. ტფილისში (ფრეილინის ქ., № 11) დანიშნულია

**საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა**

## საზოგადო ჩვეულებრივი კრება,

განსახილველი საგნები: 1) ანგარიში პალატის თანხებისა; 2) ანგარიში პალატის მოქმედებისა, 3) ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წლისა; 4) არჩევა კომიტეტის წევრებისა ნაცვლად ორი წევრისა, რომელნიც კომიტეტიდან გადიან თანახმად წესდების 21 §-სა.

თუ კრებას არ დაესწრო წევრთა კანონიერი რიცხვი, თანახმად წესდების 37 §-სა, მეორე კრება, რომელიც შესდგება 24 მაისს, საღამოს 6 საათზე იქვე, კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

956 3—2 **პალატის კომიტეტი.**

## სავაჭრო სახლი „ლაზარე მაილოვი და შვილები“

დაინტერესებულ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ აცხადებს სავაჭრო სახლის ამხანაგების შემდეგ დადგენილებათა შესახებ:

**ო ქ მ ი**

ტფილისი, აპრილის 3, 1920 წ.

სავაჭრო სახლის „ლაზარე მაილოვი და შვილები“-ს ხელშეკრულების მე-4 და მე-9 §-ის თანახმათ აპრილის 1-ს დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება ძმ. მაილოვების ექსპედიციის ბინაზე, განოვის ქ., № 11. სავაჭრო სახლის ყველა წევრებს წინასწარ მიეცათ ცნობა და გაფრთხილება, რომ თუ რომელიმე წევრთაგანი არ გამოცხადდება, ხელმეორე საზოგადო კრება უნდა შესდგეს აპრილის 3-ს, საღამოს 6 საათზე იმავე შენობაში, მიუხედავათ დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1. სავაჭრო სახლის 1912 წლ. ოქტომბრის 25-ს ოქმის გადახედვა.
2. არჩევა გამგის ამხანაგისა ივანე ლაზარეს ძე მაილოვის მაგივრათ, რომელმაც უარი განაცხადა ამ მოვალეობის აღსრულებაზე.
3. მოხსენება ილია ლაზარეს ძე მაილოვისა სავაჭრო სახლის გამგეობის რეორგანიზაციისა და მისი ნაწილობითი და სრული ლიკვიდაციის შესახებ.
4. ანგარიში და მოხსენება დანიელ ლაზარეს ძე მაილოვისა ჩრდილო კავკასიის და დონის ოლქის ოპერაციების შესახებ 1918 წლ. ნოემბრის 1-დან დღემდე.
5. კრებაზე აღძრული საკითხები.

**საზოგადო კრებამ დაადგინა:**

1. მიიღო რა მხედველობაში საზოგადო კრებამ, რომ 1912 წ. ოქტომბრის 25-ს დადგენილება, რომლის ძალით სავაჭრო სახლის თითეულ ამხანაგს უფლება აქვს იმოქმედოს სავ. სახლის სახელით, არღვევს სავაჭრო სახლის წევრთა შეთანხმების და სოლიდარულ მუშაობას, მოქმედების გეგმის და პროგრამის მთლიანობას, აგვიანებს ს. ს. წევრთა მიერ ანგარიშების წარმოდგენას და ამით ვაჭრობისა და სამრეწველო საწარმოოთა ცალკე დარგების ხარჯთ-აღრიცხვის შედგენასაც, მიზანშეწონილათ იცნო, რომ დღეიდან წარმომადგენლობის უფლება, რომელიც თანახმად ხელშეკრულების მე-6 §-ისა, სავსებით ეკუთვნის მხოლოდ ამხანაგ-გამგეს, დაეკისროს უკანასკნელს, დანარჩენ ამხანაგებს უფლება აქვთ იმოქმედონ ვექილობით, რომელსაც საგანგებოთ მიიღებენ ამხანაგ-გამგისგან და რომლის შესახებ უნდა ეცნობოს ბანკებს და სავაჭროებს.

2. მიუხედავათ იმისა, რომ ილია ლაზარეს ძე მაილოვმა, როგორც მისი აგრეთვე სავაჭ. სახლ. სახელით ბევრჯერ სთხოვა ივანე ლაზარეს ძე მაილოვს არ ეთქვა უარი ამხანაგ-გამგის თანამდებობის მოვალეობაზე, მან კატეგორიული უარი განაცხადა ავადმყოფობისა და საერთოდ დაღლილობის გამო. ივანე ლაზარეს ძე მაილოვის მაგიერ საზოგადო კრებამ აირჩია ამხანაგ-გამგეთ ილია ლაზარეს ძე მაილოვი.

3. მოისმინა რა მოხსენება ილია ლაზარეს ძე მაილოვისა, საზოგადო კრებამ აუცილებლათ სცნო აღძრულ კითხვების განხილვა, თუნდაც ისეთებისა, რომლებიც ძალიან საჩქაროა, გადაიდვას პირველ საზოგადო კრებამდე ბათომში, სადაც ეხლა იმყოფება მესამე წევრი დანიელ ლაზარეს ძე მაილოვი და

4) რადგან უკანასკნელი ვერ დაესწრო საზოგადო კრებას, რომელზედაც მას უნდა მოეხსენებია კრებისთვის 1918 წ. ნოემბრის 1-დან დღემდე ოპერაციების შესახებ, საზოგადო კრებამ, მიანდო რა ამხანაგ—გამგეს საზოგადო კრების მოწვევა ბათუმში, როგორც მორიგ საკითხების განსახილველათ, აგრეთვე სავაჭრო სახლის წევრთა მოხსენებათათვის, დახურულათ გამოაცხადა თავი,

სავაჭრო სახლის „ლაზარე მაილოვი და შვილები“-ს წევრი ივანე ლაზარეს ძე მაილოვი.

ს./ს. „ლ. მაილოვი და შვ.“ წევრი ილია ლაზარეს ძე მაილოვი.

**ო ქ მ ი.**

აპრილის 6-ს, 1920 წ. ქ. ბათუმი.

თანახმად სავაჭ. სახლის „ლაზარ მაილოვი და შვილები საზოგადო კრების მეოთხე დადგენილების § თანახმად 1920 წ. 3 აპრილს შესდგა სხენებული სავაჭრო სახლის ამხანაგების საზოგადო კრება ბათუმში სასტუმრო „პალასში“ საღ. 6-საათზე, რომელზედაც 4-სახლის წევრი დანიელ ლაზარეს ძე მაილოვი, მიუხედავათ მოწვევისა, არ გამოცხადდა.

**განსახილველი იყო შემდეგი საკითხები:**

1) სავაჭრო სახლის წევრის დანიელ ლაზარეს ძე მაილოვის მოქმედების ანგარიში 1918 წ. 1-ნოემბრიდან ამა აპრილის 3-მე.

2) საზოგადო კრებამ მიიღო რა მხედველობაში, რო დანიელ ლაზარეს ძე მაილოვი განზრახ არ გამოცხადდა საზოგადო კრებაზე, რომელიც შესდგა აპრილის 3-ს ტფილისში და ამავე რიცხვში ბათუმში და მით მან უარი განაცხადა სავაჭრო სახლის სახელით 1918 წ. ნოემბრის 1-დან 1920 წ. აპრილის 3-დე თავის მოქმედების ანგარიშის მიცემაზე და ასეთი მოქმედებით აშკარად ზიანს აყენებს სავაჭრო სახლის სახელსა და საქმეს, რომ ასეთ პირობებში და ამა წლის 3-აპრილის საზოგადო კრების დადგენილებით 1-§-ის თანახმად დანიელ ლაზარეს ძე მაილოვი ამიერიდან აღარ ითვლება სავაჭრო სახლის წარმომადგენლად და არც აქვს უფლება გამოვიდეს და იმოქმედოს უკანასკნელის სახელით, რადგანაც ერთად ერთი წარმომადგენელი სავაჭრო სახლისა არის მხოლოდ ამხანაგი—გამგე ილია ლაზარეს ძე მაილოვი.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1) მოეთხოვოს დანიელ ლაზარეს ძე მაილოვს კანონის ძალით ანგარიში მისი მოქმედების შესახებ, როგორც სავაჭრო სახლის წევრის 1918 წლის ნოემბრის 1-დან ამ წლის 3-აპრილამდე.

2) ყოველგვარი პირობანი, დადებული დანიელ ლაზარეს ძე მაილოვის მიერ ამ წლის აპრილის 3-დან სავაჭრო სახლის სახელით ჩაითვალოს არა კანონიერად, და სავაჭრო სასლისთვის მორალურად იურიდიულათ არა სავალდებულოდ.

3) გაუქმებულად ჩაითვალოს ყველა ვექილობანი და გადაცემითი ვექილობანი, მიცემული დღემდე სავაჭრო სახლის სახელით მის წევრის დანიელ ლაზარეს ძე მაილოვის მიერ.

ამხანაგი—გამგე **ილია მაილოვი.**

სავაჭრო სახლის წევრი **ივანე მაილოვი**

975. დედანთან სწორია ამხანაგი—გამგე **ილ. მაილოვი.**

## ოფიციალური განყოფილება

**დ ე კ რ ე ტ ი.**

**ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცე ისა.**

1. დამტკიცებულ იქნეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამტკიცებითი ხარჯთ-აღრიცხვა ამა 1920 წლის ივნისის 1-დე უნივერსიტეტის ახალ დაწესებულებათა მოსაწყობად და ახალ თანამდებობის პირთა მოსაწვევად ამ დეკრეტთან დართული ნუსხის თანახმად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებაში თოთხმეტი მილიონი სამას ოცდა ოთხი ათას ოთხას ხუთმეტი (14324415) მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

**ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1919—1920 წლ. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა.**

| თანამდებობის პირნი და დაწესებულებანი. | | თითოს. თვიურად. | თითოს. საბიუჯეტო წლის მანძილზე. | ყველას. თვიურად. | ყველას. საბიუჯეტო წლის მანძილზე. |
|---|---|---|---|---|---|
| **I. სამეცნიერო სასწავლო ნაწილი** | | | | | |
| **პირადი შემადგენლობა.** | | | | | |
| **სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტი.** | | | | | |
| პროფესორს იანვრის 1-დან . . . . . | 3 | 5660 | 28300 | 16980 | 84900 |
| მეცნიერ ხელმძღვანელს და ლექტორს დეკემბრის 1-დან . . . . . . . | 2 | 4000 | 24000 | 8000 | 48000 |
| ჯამი . | — | — | — | — | 132900 |
| **სამათემატიკო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი:** | | | | | |
| დოცენტს დეკემბრის 1-დან . . . . . | 3 | 4000 | 24000 | 12000 | 72000¹) |
| ასისტენტს დეკემბრის 1-დან . . . . | 15 | 4000 | 24000 | 60000 | 360000²) |
| ფიზიოლოგიური ლაბორატორ. პრეპარატორს დეკემბრის 1-ან . . . . . | 1 | 2800 | 16800 | 2800 | 16800 |
| უნივერსიტეტის მეშუშე ოსტატს დეკემბრის 1-დან, ასისტენტის ჯამაგირი . . . . . . . . . . . . . . | 1 | 4000 | 24000 | 4000 | 24000 |
| საბუნებისმეტყველო ფაკულტ. პროფესორებს პრაქტ. ვარჯიშობისათვის გასამრჯელო . . . . . . . . . . | — | — | — | — | — |
| ფიზიკის, აგრონომიულ და რაოდენობითი ქიმიის და თვისებითი იანვრის 1-დან აწინდელი ჯამაგირის 30 პრ. თვიურად . . . . . . . . . . . | 3 | 1698 | 8490 | 5094 | 25470 |
| ფიზიოლოგიის პროფესორს, ბოტანიკის პროფ., კრისტალოგრ., მინერალოგ., გეოდეზიის პროფ., და საზოგადოდ მეტყეობის პროფ., იანვრის 1-დან აწინდელი ჯამაგირის 15 პროც. თითოს თვიურად . . . | 5 | 849 | 4245 | 4245 | 21225 |
| გეოლოგიის დოცენტს, მეტეოროლოგიის, ზოოლოგიის და ენტომოლოგიის დოცენტს იანვრის 1-დან აწინდელი ჯამაგირის 15 პროც. თითოს თვიურად . . . . . . . . . . . | 3 | 600 | 3000 | 1800 | 9000 |
| ჯამი . | — | — | — | — | 528495 |

**შენიშვნა:** ¹) გეოლოგიაში მიკრობიოლოგიაში და სამეურნეო სტატისტ.

**შენიშვნა:** ²) გეოლოგიაში 2, ფიზიკაში 2, ფიზიოლოგიაში 2, საზოგადო მეტყეობაში 1, ნიადაგთმეცნიერებაში 1, გეოდეზიაში 2, ქიმიაში 2, აგრონომიულ ქიმიაში 1 და მინეროლოგიაში 2 და სულ 15.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვთიმე თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

# განკარგულებანი

**განთავისუფლება სენატორებისა თანამდებობისაგან.**

დამფუძნებელი კრების დადგენილებით განთავისუფლებულნი არიან თანამდებობისაგან, მათივე თხოვნის თანახმად სენატორები გიორგი სიდამონ-ერისთავი 1919 წლის ნოემბრის 2-დან და ივანე ზურაბიშვილი და ნიკოლოზ ქიქოძე ამა წლის აპრილის 8-დან.

1920 წლის მაისის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

**დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისა.**

1920 წ., მაისის 8, № 6.

1. განთავისუფლებულია თანამდებობისა და სამსახურისაგან, მისივე თხოვნის თანახმად, დამფუძნებელი კრების კანცელარიის ექსპედიტორი ივანე შატბერაშვილი ამა მაისის 1-დან.

2. განთავისუფლებულია სამსახურისა და თანამდებობისაგან, მისივე თხოვნის თანახმად, მანქანით გადამწერი კლარა რამიშვილის ასული ამა წლის აპრილის 15-დან.

3. განწესებულ იქნა დამფუძნებელ კრების კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე სტენოგრაფიულ ოქმის შემდგენელი ანდრია საყვარელიძე—ამა წლის თებერვლის 16-დან.

4. მიღებულია დამფუძნებელ კრების კანცელარიის სამსახურში და განწესებულ იქნა საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე ნიკიფორე ჭავჭანიძე ამა წლის აპრილის 1-დან.

5. დამფუძნებელი კრების კანცელარიის ექსპედიტორის თანაშემწე ნიკოლოზ კობახიძე განწესებულ იქნა იმავე კანცელარიის ექსპედიტორის თანამდებობაზე ამა მაისის 1-დან.

6. მიღებულია დამფუძნებელი კრების კანცელარიის სამსახურში და განწესებულ იქნა უფროსი კათეგორიის მანქანით გადამწერის თანამდებობაზე სოფიო გაბაშიძის ასული ამა წლის აპრილის 6-დან.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროსი.**

1920 წ., მაისის 7, № 35.

**ინიშნებიან:** 1. შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი იასონ ვარადებულის ძე აფაქიძე შინაგ. საქ. სამინისტროს იურის-კონსულტად ამა წლის 1 მაისიდან თანახმად მისი თხოვნისა.

2. რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორი სიმონ პეტრეს ძე გეგელაშვილი შინ. საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორად ა. წ. მაისის 1-დან დროებით რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორის თანამდებობაზე დატოვებით.

მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

29 აპრილი, 1920 წ., № 36.

**დამტკიცებულ არიან:** 1) საქართველოს რესპუბლიკის საშრატე სადგურის გამგე ექიმი ვეტერინარი მიხეილ ივანეს ძე ფარცვანიძე, და ამავე სადგურის გამგის თანაშემწე ექიმი ვეტერინარი ვლადიმერ თეიმურაზის ძე ბასილია აღნიშნულ თანამდებობებზედ 1 ნოემბრიდან 1919 წ. 2) მეორე თანაშემწე იმავე სადგურის გამგისა ექიმი ვეტერინარი ალექსანდრე ბიჭიას ძე გერგენიძე აღნიშნულ თანამდებობაზედ 23 იანვრიდან 1920 წლ.

8 მაისი, 1920 წ. № 37.

**დათხოვნილია:** სავანგებო მინდობილებათა მოხელე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ნიკოლოზ კალისტრატეს ძე ჩიკვაიძე თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან 30 აპრილილიდან.

მინისტრის ამხ. **ჭიჭინაძე.**

---

არა ოფიციალური განყოფილება

# ზავი საბჭოთა რუსეთთან.

**(მთავრობის ცნობა).**

მაისის 7-ს ღამის 12 საათსა და 20 წუთზე საქართველოს წარმომადგენელმა დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძემ ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას რუსეთსა და საქართველოს შორის.

ძირითადი მუხლები ხელშეკრულებისა შემდეგია:

1) რუსეთი ყოველ პირობის გარეშე აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას და თავის ნებით ხელს იღებს ყველა იმ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთნოდა რუსეთს საქართველოს და მის მიწა-წყალის შესახებ.

2) რუსეთი ხელს იღებს საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე.

3) საზღვრების საკითხი გადაწყვეტილია საქართველოს სასარგებლოდ.

სხვათა შორის რუსეთი აღიარებს, რომ მთელი ბათომის ოლქი შედის საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში.

4. საქართველო და რუსეთი პირობას სდებენ ურთიერთ შორის დაიცვან სასტიკი ნეიტრალიტეტი და ნება არ მისცენ თავ-თავიანთ ტერიტორიებზე მოხდეს ორგანიზაცია ისეთი ძალების და ჯგუფებისა, რომელნიც მიზნად დაისახავენ იარაღით შებრძოლებას და ხსენებულ რესპუბლიკებში არსებულ წესწყობილების დამხობას. თუ ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე ასეთი ძალები გაჩნდება, მათ იარაღი უნდა აეყაროთ და მოთავსებულ იქმნენ განსაკუთრებულ ადგილებში.

5) საქართველოს და რუსეთის ეკონომიური ურთიერთობას, სავაჭრო ხელშეკრულების დადებამდე, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს უნდა დაედოს შემდეგი ძირითადი დებულებანი:

ა) პრინციპი ყოველმხრივად ერთმანეთის დახმარებისა.

ბ) სატრანზიტო საქონლის განთავისუფლება ყოველგვარ გადასახადსა და ბაჟისაგან.

გარდა ხსენებულ მუხლებისა არის კიდევ სხვა უფრო უმნიშვნელო მუხლები.

ხელშეკრულების სრული ტექსტი დამატებით გამოქვეყნება.

---

# სამხედრო ცნობა

ტფილისი, 9 მაისი.

**(ა. წ. 30 აპრილიდან 8 მაისამდე.) გენერალური შტაბის ცნობა.**

1 მაისს აზერბეიჯანის ჯარებმა გადმოლახეს უძლიერეს ძალებით ჩვენი საზღვარი, ჩვენი ტერიტორიით შემოუარეს მას და წითელ ხიდთან მყოფი ჩვენი მოსაზღვრე პოსტი შეავიწროვეს. 2-სა და 3 მაისს საზღვარზე სროლა იყო. 4 მაისს აზერბეიჯანის ჯარები ცდილობდენ, რომ ფოილოს ხიდთან მყოფ ჩვენი მოწინავე ნაწილისათვის შემოეტიათ, მაგრამ იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. 5 მაისს გათენებისას მტერი კიდევ სცდილობდა შემოტევას ამავე ხიდზე ორი ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით. რომ ჯავშნიანი მატარებლებისათვის არ მიგვეცა საშუალება ჩვენ ტერიტორიაზე შემოსვლისა, ამიტომ ავაფეთქეთ ხიდი და ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა უკან დაიხიეს. 5 მაისს წითელ ხიდთან ომი გაჩაღდა. მტერი, რომელსაც მნიშვნელოვანი დამხმარე ძალა მოუვიდა და რომელსაც არტილერია ეხმარებოდა, რამდენჯერმე შეტევაზე გადმოვიდა, საღამოს დავიჭირეთ ჩვენი პოზიციები. ამ ბრძოლაში ჩვენ მოგვიკლეს 6 გვარდიელი და დაგვიჭრეს 17. განსაკუთრებით გმირულად იბრძოდა ცხენოსანი ჯარი. იმავე დღეს ჩვენმა ჰაეროპლანებმა ჩაყარეს ყუმბარები წითელ ხიდთან მყოფ მტრის პოზიციებში. 6 მაისს მტერი არტილერიით ესროდა ფოილოსთან მყოფ ჩვენს პოზიციებს და 8 მაისს ღამით კი თოფებითა და ტყვიისმფრქვეველებით უშენდა ამავე პოზიციებს.

მაისის 10. 8 მაისს საღამოთი წითელი ხიდის რაიონში მტრის ცხენოსანი ჯარი ქვეითა ჯარის დახმარებით შემოტევაზე გადმოვიდა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. 9 მაისს საღამოთი სოფელ ტაკიალის რაიონში გამოჩნდა მტრის რაზმი, მაგრამ ჩვენი რაზმის გმირული შეტევით, რომელსაც ვახმისტრი შელია უძღოდა, უკუ ვაქციეთ. მტერს მოუკალით 1 ოფიცერი და დაუჭერით 4 ჯარისკაცი. ჩვენ არავითარი ზარალი არ მოგვსვლია.

9 მაისს დ. ლაგოდეხის აღმოსავლ. მყოფ რაიონში ჩვენ მოსაზღვრე რაზმს თავს დაესხენ შეიარაღებული ლეკები. სროლის დროს მოკლულ იქმნა საყარაულოს უფროსი ლეიტენანტი ყიფიანი. ლეკები დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ. ამ ბანდების საბოლოო სალიკვიდაციოთ ზომებია მიღებული. სხვა ფრონტებზე სიწყნარეა.

ადერბეიჯანის მთავრობის განკარგულებით აქსტაფიდან ევლახამდე და აჯიკაბულიდან საგირამდე აჰყარეს რკინის გზის მეორე ლიანდაგი. აყრილი ლიანდაგის მასალა მიაქვთ ბაქო-ჯულფას რკინის გზის ხაზზე, სადაც არაქსზე ხიდის შენება უკვე თავდება და რკინის გზაც მალე ხიდამდის მივა.

---

# რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილებანი.

I. დაევალოს აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორს გამოუცხადოს ქალაქ ტფილისის მცხოვრებთ, რომ იმ პირთ, რომელნიც მობილიზაციის დროს გადამალავენ ცხენებს, გარდა პასუხს გებაში მიცემისა, ცხენები ჩამოერთმევათ სრულიად უფასოდ.

II. გამოცხადდეს ყველა 35 წელზე არა უხნეს ექიმთა მობილიზაცია რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გარდა სახელმწიფო, საერობო და საქალაქო სამსახურზე მყოფთა.

III. სახელმწიფო დაწესებულებათა ზოგიერთ კატეგორიის მოსამსახურეთა მობილიზაციისაგან გათავისუფლების შესახებ მიღებულ იქნას შემდეგი:

1) მთავრობის მიერ ამა წლის 15 აპრილს დამტკიცებული დასტურლამის 15 მუხლი გავრცელდეს ჯარისა და სახალხო გვარდიის დაწესებულებებში ნებით დაქირავებულ მოსამსახურეებზე იმავე წესით, როგორი წესით ეს ვრცელდება სამხედრო ერთეულების ნებით დაქირავებულებზე, თუ ნამდვილათ მათი გაწვევა შეაფერხებს მუშაობის ნაყოფიერებას და მოადგილეებიც არ იშოვება.

2) განთავისუფლებულ იქნან გაწვევისაგან: ა) სამაზრო ერობათა თავმჯდომარენი და ქალაქის მოურავნი და აგრეთვე ამ თვითმართველობათა გამგეობის ის წევრები, რომელნიც განაგებენ სამხედრო ან სასურსათო განყოფილებებს; ამავე თვითმართველობათა მთავარი ბუჰგალტერები და სამხედრო განყოფილებათა საქმის მწარმოებლები; ბ) ყველა სამინისტროთა დეპარტამენტების დირექტორნი.

3) სამაზრო, საქალაქო და რკინის გზის მილიციონერებსა და მილიციის სამსახურში მათ მეუფროსეთ მიეცეს გამოცხადების ვადის ერთი თვით გაგრძელების ნება.

4. გაზეთებზე მომუშავე ასოთ-ამწყობებსა და მბეჭდავებს მიეცეს გამოცხადების ვადის ერთი თვით გაგრძელების ნება.

5) ტყიბულის მაღაროების სპეციალურ მუშებზე გავრცელდეს მთავრობის მიერ ამა წლის 15 აპრილს დამტკიცებულ დასტურლამის 15 მუხლი.

6) ის ჯარის კაცნი, რომელთაც შესრულებული აქვთ კანონით დადგენილი სამსახურის ვადა, მაგრამ დღემდის არ არიან სათადარიგოთ გადარიცხულნი, შეჩერებულ იქნან ერთეულებში დემობილიზაციის დაწყებამდის;

7) სხვა და სხვა დაწესებულებათა მიერ ყოველ ცალკე შემთხვევაში ამა თუ იმ მოსამსახურის გაწვევისაგან განთავისუფლების ან გამოცხადების ვადის გაგრძელების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის ზემო გათვალისწინებული, შუამდგომლობათა გასარჩევათ დაინიშნოს კომისია გენერალური შტაბის განყოფილებასთან ამ შტაბის, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა შემადგენლობით;

IV. რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და მთლიანობის მტრულ ორგანიზაციების წევრებს, გარდა მათი სასამართლოს წესით პასუხისგებაში მიცემისა, სეკვესტრის სახით ჩამოერთვას ყოველგვარი საკუთარი ქონება;

V. გაცემულ იქნას მთავარ-სარდლის მიერ განკარგულება, რომ ერობათა და ქალაქთა თვითმართველობების მიერ არავითარი შემთხვევით არ იქნეს დაკავებული ჯარისა და გვარდიის საჭიროებისათვის სყიდვით შეძენილი სურსათ-სანოვაგე;

VI. დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს მოახდინოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ბენზინისა და კერძო ავტომობილების აღრიცხვა;

VII. გარდა ამისა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს მიერ ცხრა მაისს წარედგინა მთავრობას სათანადო განკარგულებისათვის მობილიზაციით გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახების დახმარების დებულების შემდეგი პროექტი:

მუხლი I. იმ ოჯახებს, რომელთა ერთადერთი მარჩენალები მობილიზაციით გაწვეულ იქნებიან ჯარში, უფლება აქვთ მიიღონ განსაზღვრული დახმარება რესპუბლიკის ხაზინიდან.

**შენიშვნა:** ოჯახური მდგომარეობისა და დახმარების გაცემის საჭიროების შემოწმება ევალება სათანადო სამაზრო და სამოქალაქო თვითმართველობას.

მუხ. 2. იმის და მიხედვით, თუ რამდენი სულიდან შესდგება გაწვეულის სარჩენი ოჯახი და აგრეთვე რა რაოდენობის მიწა იქნება დამუშავებული ადგილობრივი თვითმართველობის მიერ, ყოველ ამნაირ გაწვეულის ოჯახს ეძლევა რესპუბლიკის ხაზინიდან დახმარების სახით ათასიდან ათას ხუთას მანეთამდის თვიურად.

მუხ. 3. ოჯახი ღებულობს დახმარებას სამსახურიდან გაწვეულის დაბრუნებამდის.

**შენიშვნა:** მზრუნველობის მიღების უფლებას ჰკარგავენ იმ ოჯახთა მარჩენლები, რომლებიც:

ა) მობილიზაციის დროს საპატიო მიზეზის გარეშე აღნიშნულ დროზე არ გამოცხადდებიან მიმღება კომისიებში და

ბ) ჩაიდენენ დეზერტირობას ან თავის ნებით დასტოვებენ სამხედრო სამსახურს.

მუხ. 4. აღნიშნულ დახმარების რესპუბლიკის ხაზინიდან მიღება და კუთვნილებისამებრ გადაცემა ევალება ადგილობრივ სამაზრო და საქალაქო თვითმართველობებს.

---

# ბოლშევიზმი და საქართველოს სინამდვილე

I

კარზე მომდგარი მტერი აღარ ხუმრობს, ჩვენი „მოკავშირე“ ადერბეიჯანის ჯარი და ფულით მოსყიდული გახულიგანებული ბანდები ტყვიით უმასპინძლდებიან ჩვენს შეიარაღებულ გუშაგთ, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე სდგანან და იცავენ რესპუბლიკის საზღვრებს; იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთი მოლბა და ბოლოს მაინც კეთილშობილური ტონით იწყო ლაპარაკი, როცა ნარკომის სამხედრო ძალების უფროსებს წინადადება მიეცა ფეხი არ შემოდგან ჩვენს საზღვრებზე, ჩვენს ახლოს “წითელი“ ადერბეიჯანის ჯარები მაინც ტყვიისმფრქვეველებიდან უშენენ ჩვენს მოსაზღვრე რაზმებს. ჩვენ კარგად ვიცით საბჭოს რუსეთის სიტყვასა და საქმეს შორის განსხვავება, ჩვენ კარგად ვიცით, რომ სიტყვით, მხოლოდ „პრინციპიალურად“ მათ აღიარეს პატარა ერთა უფლებანი, მათი თვითგამორკვევის პრინციპები; მაგრამ საქმით კი, სადაც ხელი მიუწვდებათ მზად არიან გადაყლაპონ პატარა ერები, გაანადგურონ მათი დამოუკიდებლობა, სისხლით მოპოვებული თავისუფლება; წითელი „არმია“ ერთი კუთხიდან მეორეს ასკდება, მაგრამ ამაოდ. ეროვნულად ერის დამონება არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც დღევანდელი რუსეთის მესვეურთ, „სოციალისტებს“ ეგონათ მათ თავის „ბრწყინვალე“ მოქმედების დროს და ერთხელ იგემეს პატარა ერების მიერ სასტიკი დამარცხება; თუ დღეს პოლონეთის წინაშე საბჭოთა რუსეთი იჩოქებს, ხვალ კიდევ უფრო შეუბრალებელ დამარცხებას უნდა მოელოდენ საქართველოს დარაზმულ დემოკრატიიდან. თუ ის თავის მტრულ და გესლიან პოლიტიკას არ შეცვლის;

ეხლაც სასტიკად მოსტყუვდება ის ანგარიშში, თუ იფიქრებს, რომ ის ისე ადვილათ შესძლებს საქართველოს დამორჩილებას, როგორც ეს ადვილად მოახერხა მან, ნახევრად ველურ ადერბეიჯანში, იმ ადერბეიჯანში, სადაც ნაძალადევათ საქართველოს დახმარებით,¦ მის მიერ მიცემული დირექტივებით ატარებდა რესპუბლიკის სახელს. საქართველოს, დემოკრატიის და მისი მთავრობის დიდი სურვილი იყო და არის მეზობელი ერები ყოფილიყვნენ თავისუფალნი, დამოუკიდებელნი, ამ მიზნით ის ყოველივე ღონეს ხმარობდა, მაგრამ არ მოხერხდა; და არც შესაძლებელია გარეშე ძალის დახმარებით სახელმწიფოებრივი იდეის შექმნა; ისიც დემოკრატიული რესპუბლიკის აშენება, რის გამოც ამდენხანს ადერბეიჯანს ეწოდებოდა. თუ თვითონ ხალხის ფართო მასა არ არის მომწიფებული თავისუფალი ეროვნული ცხოვრებისათვის, თუ მასში არ არის შეგნება თუ რას ნიშნავს სხვისი მონობის უღელ ქვეშ ყოფნა ან დამოუკიდებლად ცხოვრება, ასეთი ერის მიერ აშენებული სახელმწიფო ხუხულაა, რომელსაც დაანგრევს, ნაცარ მტვრად აქცევს უბრალო სიოც კი არამც თუ ქარიშხალი და ასეც მოხდა კიდეც; ადერბეიჯანის „რესპუბლიკის“ მთავრობისათვის საკმარისი გახდა, რომ რაოდენიმე ათეული წითელი არმიელები დაენახათ მოახლოვებული და მათაც თავისუფლად გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთ, მათთვის დამოუკიდებლობის კარები.

ერი, მისი დემოკრატია, რომლის კულტურა ჯერ კიდევ არ გასცილებია პირველ საკუთრების ბარბაროსულ ახლის კულტურას, რომლის თვით შეგნება ჯერაც ვერ შორდება „მახვილ-ვახლის“ კულტურას, ერი რომელსაც დიდი მსხვერპლი არ გაუღია ერთხელ თავისუფლებისათვის, ის რა თქმა უნდა უბრძოლველად მოპოვებულ თავისუფლებას უსისხლოდაც დასთმობს. მაგრამ სულ სხვაა ერი, რომელსაც აქვს რამდენიმე საუკუნის კულტურა, ბრწყინვალე წარსული, რომელსაც წინათაც უგემნია და შეგნებული აქვს ეროვნული თავისუფლების სიტკბოება, რომელსაც ათასობით შეუწირავს ეროვნულ სამსხვერპლოზე თავისუფლებისათვის თავისი საუკეთესო შვილები. ასეთი ერი მოკვდება და ერთხელ მოპოვებულ თავისუფლებას ცოცხალი თავით არავის დაუთმობს, და ეს რომ ასეა, ამაზე დარწმუნდნენ ჩვენ ზეკართით მომდგარი „წითელი“ ურდოები, რომლებიც ტყუილად ლამობდნენ, ოდნავ მაინც შეერყიათ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ნორმალური განვითარება. „წითელი ადერბეიჯანის“ ომსალთოთის კაციჭამია ფაშა იმპერიალისტებთან კი არა ჯოჯოხეთთანაც რომ შეკრან კავშირი მაინც ვერ შესძლებენ ქართულ ერში ჩაკლან დამოუკიდებლობის იდეა. ასეთია ერის უზენაესი ნებისყოფა და სურვილი.

ჩვენ კარგად ვიცით დიპლომატიური ხრიკები, ვიცით რომ ხშირად ისინი სიტყვებს ხმარობენ გამოსაცნობლად დიპლომატიურ მიწერ-მოწერის დროს, მით უმეტეს ვიცით საბჭოთა რუსეთის დიპლომატიის ფასი. მათი დიპლომატიური პოლიტიკა დამოკიდებულია დროზე და გარემოებაზე; ის, რაც მათ დღეს ვითომ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ შეიძლება ხვალ უარყონ: მაგალითისათვის შორს წასვლა არ უნდა; თუ საბჭოთა რუსეთი გუშინ კიდევ მტრულის თვალით უყურებდა საქართველოს მთელ ანტანტას და კერძოდ ინგლისს, თუ ის გუშინ ბრძოლას სდებდა მის მიერ ამოთავისუფლებულ საქართველოს, ინგლისის კავშირებს და კერძო განწყობილებისათვის ჯვარზე ცმას უპირებდა, მას დღეს იგივე „საბჭოთა რუსეთი [illegible] ენლავე ყირიმის ფრონტზე სამხედრო მოქმედება შეწყვიტოს“ და სხვა; თუ დღეს პოლონეთის და სხვა უმთავრეს ფრონტებზე სასტიკად დამარცხეეული ბოლშევიკების ხელმძღვანელი უბრძანებენ წითელ არმიელებს ფეხი არ გადადგან საქართველოს საზღვრებზე, ვინ იცის ხვალ როგორ ჰანგზე დაიწყებენ მღერას რომ ბედმა გაუღიმოთ. გასისხლიანებულ ბოლშევიზმისათვის თოფ-ზარბაზნებს მეტი ფასი აქვთ ვინემ პატიოსან სიტყვას. ან კი როგორ ესმით საბჭოთა დიპლომატებს ძალით შეჭრა სხვის ტერიტორიაზე? თუ ჩვენში მომუშავე ნარკომის ფულით მოსყიდულ აგენტებს და მათ პროკლამაციებს თუ დაუჯერებთ, საქართველოს მშრომელი მასა დიდი ხანია რაც გულის ფანცქალით, სიხარულით ელის საქართველოში ბოლშევიკების გაბატონებას, ბოლშევიკურ ხელისუფლებას. და ცხადია, რომ მათ თავის რომელიმე გამოსვლის შემდეგ ხელში ჩაეგდოთ ძალით ჩვენში ძალაუფლება, ქვეყანას აუწყებდენ, რომ ისინი საქართველოში ხალხის ნება-სურვილით შევიდენ და არა ხალხის სურვილის წინააღმდეგ და ისინი ამას გაუწითლებლად იტყვიან მიუხედავათ იმისა, რომ მათ არა ერთხელ იგემეს საქართველოს დემოკრატიის რისხვა. რაც კარგად იციან აქ მათმა მომუშავე აგენტმა, რომ მიუხედავათ მრავალი დახარჯული მილიონებისა, მათ მაინც ვერ შესძლეს საქართველოში ბოლშევიკურ ნიადაგის მომზადება.

X.

S. P. ეს წერილი აწყობილი იყო რომ მივიღეთ ფრიად სასიხარულო მთავრობის ცნობა ჩვენსა და საბჭოთა რუსეთს შორის ზავის ჩამოგდების შესახებ. ჩვენ არასოდეს არ ვკარგავდით იმედს, რომ ადრე თუ გვიან ჩვენსა და დღევანდელ რუსეთს შორისაც გამოინახებოდა საერთო ენა, რომ ორი ერის დემოკრატია, რომელიც რაოდენიმე ათი წლის განმავლობაში ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოდენ თვითმპყრობელობის დასამხობათ, შერიგდებოდენ და... აღსრულდა კიდეც ჩვენი ნატვრა-სურვილი, ამიერიდან ყოველ გვარ გაუგებრობას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ რუსეთის ხალხთან, მის დემოკრატიასთან სადაო არა გვაქვს რა. ჩვენი ენერგია ამიერიდან, მიპყრობილი იქნება, რომ სრულიად ახალ, მტკიცე ნიადაგზე დავამყაროთ კეთილ, მეგობრულ-მეზობლური განწყობილება ჩვენსა და ახლად შერიგებულ საბჭოთა რუსეთს შორის. ხელთ არა გვაქვს საზავო ხელშეკრულების სრული ტექსტი, მაგრამ გამოქვეყნებული პირობებიც სრულიად დამაკმაყოფილებელი და მისაღებია საქართველოსათვის. ამიერიდან მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენში მომქმედ ბოლშევიკების აგენტები ხელს აიღებენ დამღუპველ ავანტიურაზე. ჩვენ საზღვრებზე მომდგარ უდროოთ გაწითლებულ“ ადერბეიჯანის შეიარაღებულ ძალებსაც სამუდამოთ ლაგამი აედოს. დრო არის მოასვენონ საქართველოს დემოკრატია, რომ მან მთელი თავისი შემოქმედებითი ნიჭი სახელმწიფოს აღორძინებას და განმტკიცებას მოახმაროს...

X.

# ახალი ამბები

✦ მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში დამფუძ. კრების წევრს გრ. ურატაძეს: გილოცავთ საზავო ხელშეკრულების დადების გამო. გადაეცით სოვნარკომს, რომ ზავის ცნობა ხალხმა აღტაცებით და დიდი სიამოვნებით მიიღო. ამიერიდან, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველგვარი გაუგეერობა საქართველოსა და რუსეთს შორის მოისპობა და ორივე მოძმე ხალხი შეთანხმებით იმუშავებენ ახალ ცხოვრების შესაქმნელად სოციალისტურ საფუძველზე. სალამი მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს.

✦ 8 მაისს, საღამოს მატარებლით დამფ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე მოხსენების გასაკეთებლად გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში, საიდანაც შემდეგ წავა აღმოსავლეთ საქართველოში იმავე მიზნით. დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის მოვალეობა დაევალა სვ. მდივანს.

✦ მაისის 9 საღამოს 6 საათზე შესდგა დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის სხდომა. სხდომას დაესწრო სხვა და სხვა ორგანიზაციების, კავშირთა, დაწესებულებათა და საზოგადოებათა წრეების წარმომადგენლნი. კრება გაიხსნა პ. საყვარელიძის თავმჯდომარეობით. არჩეულ იქნა დღესასწაულის მომწყობი კომისია. წევრების გარდა სხვა და სხვა დაწესებულებისგან არჩეულია 8 წევრი კიდევ. დღეიდან მცირე კომისია იღებს ყოველივე დღესასწაულში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებს დილის 12—2 საათამდე სასახლეში.

✦ გუშინ ბოროტგანმზრახველებმა გაიტაცეს მეორე გიმნაზიის მოწაფე გრეიბინი, რომელმაც დაკეტილ ოთახის სარკმლიდან მოახერხა გაქცევა.

✦ შაბათს, 8 მაისს, პირველ ვაჟთა გიმნაზიის შენობაში შესდგა დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის გაგრძელება. ყრილობას თავმჯდომარეობდა ა. წერეთელი.

✦ ტფილისში მიღებულ ცნობების მიხედვით მაისის 9-ს შავ ზღვაზე ბათომს და სტამბოლს შუა მიმავალ გემს თავს დასხმიან შეიარაღებული მეკობრენი და გაუძარცვიათ მგზავრები. გემზე იმყოფებოდა პოლკოვნიკ ჰასკელის მეუღლე, რომელსაც თან ჰქონებია მრავალი ბრილიანტები და ძვირფასი ნივთები. ჰასკელის მეუღლისათვის ორი მილიარდის ღირებულების ნივთები წაურთმევიათ.

✦ კვირას 9 მაისს დილის 11 საათზე ქალაქის საბჭოში შესდგა ტფილისის ჟურნალისტთა პროფესიონალურ კავშირის კრება. კრებას დაესწრო 90 წევრი. თავმჯდომარეობდა ბუქშტეინი. მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის წევრმა ანილმა, განიხილულ იქნა კავშირის ახალი წესდება. გამგეობაში აირჩიეს: ა. ახნაზაროვი, დ. დუმბაძე, ნ. ჯაფარიძე, ტ. ახობაძე კროტკოვი, ნ. ყიფიანი, ესანანცი, სუნდუკიანცი. კანდიდატები: პეტრაკოვსკი და ანი. საერევიზიო კომისიაში: ილია ნაკაშიძე, კამსკი, კრემერი და ვედრებისელი. კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს „პოეზიის დღის“ გამო.

✦ ტფილისის საგანგებო სასამართლოს სესიის თავმჯდომარე ა. კარასევი, წევრნი: ი. ლამაძე, მ. ციციშვილი და პროკურორის ამხანაგი ვ. ვაჩნაძე გაემგზავრნენ სიღნაღში.

✦ მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მოსულია დეპეშები: სენაკის პირველ და მეორე გუნდის სახალხო გვარდიელებისგან და ტყიბულის მაღაროების მუშათა მრავალრიცხოვან მიტინგისგან, რომელნიც გულწრფელ აღთქმას სდებენ მთავრობის და ხალხის წინაშე, რომ ისინი მედგრად და მტკიცეთ დაიცავენ სამშობლო დედა საქართველოს და მის თავისუფლების განმტკიცებისთვის იბრძოლებენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

# ასპინძის ბრძოლის 150 წლის თავი

## 1770 $\frac{20}{IV}$ 1920

(გაგრძელება).

ამისთანა არა საკეთილო პირობებში გაზაფხულს 1770 წელს უნდა დაწყებულიყო სამხედრო მოქმედება. 17 მარტს ერეკლე ქართველ ჯარებით შეუერთდა რუსებს სურამში. შეერთებული რაზმები გაემართენ ბორჯომის ხეობისაკენ და 15 აპრილს მივიდნენ სოფელ სადგერს. აქ ტოტლებენმა მიუხედავად ერეკლეს საწინააღმდეგო განცხადებისა, დასტოვა ნაწილი ბარგისა, 6 ზარბაზანი და თავის რაზმის ნახევარი. ეს ცუდი ნიშანი იყო. 17 აპრილს მიადგნენ ციხე აწყურს, რომელიც ეჭირა ოსმალთა ჯარს. აქ მოხდა მოუგონარი შემთხვევა. 19 აპრილს ტოტლებენმა, ერეკლეს გაუფრთხილებლად გამოსწია უკან და თავის რაზმით იგი მოვიდა სურამს. ქართველ ჯარში ასტყდა დიდი არეულობა: ყველაზე საშიშარ წუთებში მათ სტოვებდენ ისინი, რომელნიც მოსულიყვნენ მათდა საშველად; ქართველები ხმა მაღლა დრტვინავდენ რუსთა ღალატის გამო. თვით ერეკლე მიიჭრა მიდრეკილ ტოტლებენისადმი და ემუდარებოდა დაბრუნებულიყო და ეუბნებოდა, მე თითონ ვიბრძოლებთ საზოგადო მტერთან ვითარცა ერთი უმცროსი ოფიცერი. მაგრამ ტოტლებენის ყურმა არ შეისმინა შთაგონებანი და ვედრებანი. დაბრუნდა რა ერეკლე თავისიანებთან და ნახა რა, რომ დრტვინვა ჯარისა რუსების ღალატის გამო იზრდებოდა, გადასწყვიტა—ჩვენს საკუთარ ღონესღა უნდა დავეყრდნოთო და უპირველეს ყოვლისა ჯარი უნდა დავამშვიდოთო. სპასპეტებთან ერთად მოიარა თავისი ლაშქარი და დაარწმუნა, რომ საკუთარი ძალით დასძლევენ თავიანთ უმანდელ მტერს. ქართველები მუდამ პატივს სცემდენ ერეკლეს სამხედრო ნიჭს დ იხილეს რა თავისი უშიშარი წინამძღოლი, დაწყნარდენ.

ამასობაში ახალციხის ფაშამ აწყურისაკენ გამოგზავნა ოსმალთა ლაშქარი, მდგომი ახალციხისა, ახალქალაქსა და ხერთვისს. ერეკლემ გადასწყვიტა თითონ სცემოდა ოსმალებს. იგი მიადგა აწყურს და აქ 20 აპრილს მოხდა ღირს სახსოვარი ბრძოლა, რომელშიაც ერეკლემ გამოიჩინა თავისი უმაღლესი სამხედრო ნიჭი. აქვე ქართველებმაც, მოწიწებით მაყურებლებმა თავის საყვარელ „პატარა კახისა“, გამოიჩინეს ჩანერგილი მათში სამხედრო სიქველენი.

უპირველეს ყოვლისა, მიადგა რა ასპინძას, ერეკლე რჩეულ ცხენოსნებით ეცა ოსმალთა მოწინავე ჯარს, რომელიც შესდგებოდა 1500 კაცით და რომელიც ძლიერ გამაგრებული იყო. შეტევა ისეთი სწრაფი იყო, რომ ოსმალნი გაფანტვით გაიქცნენ. ამ დროს ოსმალებს მოერთვენ ახალციხის ფაშის მიე გამოგზავნილი ჯარები. ერეკლემ მეორედ თოფგაუსროლელად; ცხენოსან მწყობრით დაეცა მტერს ხმალ ამუშავებით და მოწინააღმდეგე მყის დაიფრინა.

აი ზოგიერთი წვლილი ქართველების ამ სასახელო ბრძოლისა.

ბრძოლის დღეს ერეკლე მოულოდნელად დასტოვეს ბორჩალოს თათრებმა, მაგრამ მათ დაეწია გიორგი სამ ვერსზე ასპინძიდან, დაუწყო ჩაგონება, მხილება, რომ ამისთანა გასაჭირში სტოვებენ მებრძოლ ამხანაგებს, რომლებთანაც მუდამ იზიარებდენ პურ-მარილს. თათრები მორბილდენ. იგრძნეს რა ერთის მხრივ სინდისის ქენჯნა და მეორე მხრივ, დაინახეს რა დაღუპვა ორის წამქეზებლებისა, რომელნიც გიორგიმ აქვე აკუწა, ისინი გაემართნენ ასპინძისაკენ. ამ დროს ოსმალებმა მოახერხეს გადმოსვლა მტკვარზე ციხის ზემო გიდებულ ხიდით და მიაწვენ ერთ მუჭა ქართველებს იმ იმედით, რომ ყველას შეიპყრობენ ცოცხლად. ერეკლეს ეკავა ადგილი მტკვრის მარჯვენა კიდის მთის ფერდობებზე. მოფარებულმა კლდეების უკან, აუტეხა მტერს ძლიერი სროლა. თურქებმა ასპინძის ადგილმდებარეობა მიიჩნიეს მიუდგომელად და ამიტომ გადასწყვიტეს უკანვე გაბრუნებულიყვნენ და მდინარის მარცხენა ნაპირით ევლოთ და ზემოთ სადმე ისევ გადმოსულიყვენ და ქართველებისთვის უკანიდან დაეკრათ. დაიძრენ თუ არა ისინი, ერეკლემ გაგზავნა ბორჩალოელები აეყარათ ხიდი და თითონ მიაწვა მტრებს. ოსმალოები მიადგნენ რა ფონს, ხიდი აყრილი ნახეს. ამასობაში ერეკლეც დაეწია. რადგან სივიწროეში ოსმალები ველარ გაიშალნენ, მოინდომეს ცურვით გასულიყვენ იქით ნაპირას, მაგრამ ამის ნება არ მისცეს ქართველებმა: ამათ თავიანთ სახელოვან მეთაურების წინამძღოლობით დაუწყეს ჟლეტა მტრებს: ყველა, ვინც შევიდა მდინარეში, დაიღუპა, დაიღუპნენ აგრეთვე ყველანი, რომელნიც ხიდზე დარჩნენ, რადგან ისინი აკუწა ერეკლეს ცხენოსანთა ხმალმა. ამ სისხლის დამქცევ ბრძოლის სიცხარეში ერეკლემ თითონ აკუწა ლეკთა რაზმის წინამძღოლი და ბელადი კოხტა და ამან ერთგვარი შიში დაჰბადა მოწინააღმდეგე მტრის ბანაკში. გადარჩა მხოლოდ მცირედი ოსმალო. მთელი მისი ბარგი და თოფ-იარაღი დარჩათ გამარჯვებულებს. ტყვეები არ იყო. შესახებ ქართველების ასპინძის გამარჯვებისა გაიგეს ტფილისში მტკვრის გასისხლიანებულ ფერით და მასში მომცურავ ოსმალთა გვამებით.

# დეპეშა

**დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს.**

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარემ სამხედრო სკოლისგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „სამხედრო სკოლა უძღვნის დამფუძნებელ კრებას მადლობას და სთვლის თავის თავს ბედნიერათ, რომ თავის საქციელით მიიპყრო ჩვენი ერის უზენაეს წარმომადგენელთა ყურადღება. სკოლა დარწმუნებით აცხადებს, რომ შემდეგშიაც დაამტკიცებს თავის ერთგულებას სამშობლოს და მის ერის წარმომადგენელთა წინაშე და ყოველთვის მზად იქნება გაილაშქროს ყოველგვარ მტრის წინააღმდეგ. გენერალი **კვინიტაძე**.

# ღია წერილი

**ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობას.**

1918 წ. მარტში, ზუგდიდის მაზრის საადგილ-მამულო გამგეობის დავალებით, ხალხის დაკითხვის საშუალებით მე უნდა გამომერკვია მემამულეთათვის დასატოვები მიწის ნორმა და ამ მიზნით წალენჯიხის რაიონის სოფლებში ვახდენდი ყრილობებს. ეს შევეტყოთ თქვენ და ი. კვარაცხელიას (დამფ. კრების წევრი) საშუალებით მთხოვეთ მომეწყო ადგილობრივ მეთამბაქოეთა კავშირები. მეც ვიკისრე ამ სიმპატიური საქმის სისრულეში მოყვანა და ფართე ყრილობებზე გავაცანი ხალხს კავშირის მნიშვნელობა; მეთამბაქოები სიხარულით შეეგებნენ ამას დაყველა საზოგადოებაში შესდგა ასეთი კავშირები, იქვე ირჩევდენ გამგეობას და მასვე აბარებდენ საწევრო გადასახადსაც, მე კი არსად ფული არ გამომირთმევია. სულ მოვაწყე 10-თი ასეთი კავშირი. მოგროვილი ფულები თქვენთვის წარმოუდგენიათ.

ამის შემდეგ ორი წელიწადი გავიდა და არაფერი ისმის არც კავშირის არსებობის შესახებ და არც მიღებული ფულების ანგარიშს იძლევით. ხალხში კი, თურმე, ისეთი შთაბეჭდილება დამკვიდრებულა, თითქოს ეს ფულები მე მქონდეს.

გთხოვთ გაზეთის საშუალებით ამცნოთ საზოგადოებას მობოჭილი ფულების ბედი და აგრეთვე რა მდგომარეობაშია დღეს ეს კავშირი.

პატივისც. **დანიელ ფიფია.**


განცხადებანი

**სახლები, მამულები, აგარაკები**

ტფილისში და მთელ კავკასიაში

სავაჭრო და სამრეწველო საწარმოონი, ქარხნები, ფაბრიკები და სხვა შეიძლება ხელსაყრელათ იყიდოთ ან გაყიდოთ „ინტელიგენტთა ჯგუფის“ საშუალებით. დავითის ქ., № 3, ბინა 2, ტელ: 2—28. 11—2 საათ. და 5—7 საათ.

967 1—1

ქ. ტფილისის მე-6 სამომრიგებლო უბანში მიწვეულია ეფიმ იაკობის ძე ვინოკუროვი, რომელსაც უჩივის კრიკორ პოღოსის ძე კარაპეტოვი ოთახის დაცლის შესახებ. თუ ვინოკუროვი არ გამოცხადდა პირადათ ან რწმუნებულის სახით ოთხი თვის განმავლობაში, მომჩივანის თხოვნით დანიშნული იქნება სხდომა საქმის გასარჩევათ სამ. საქ. წესდ. მე-320 მუხ. თანახმათ.

431 1—1

დაიკარგა საზღვარ გარეთელი პასპორტი დავით-ხაიმ მიხეილის ძე თეთრუაშვილის სახელზე, მიღებული საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

857 3—2

დაიკარგა პასპორტი ევნატე პავლეს ძე მიშელაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

872 3—2

# განცხადება

**თანახმად რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გამოცხადებულია ყველა არა უხნეს 35 წლის ექიმთა მობილიზაცია.**

მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია ა. წ. 9 მაისი. გაწვევისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ ის ექიმები, რომელთაც მიიღეს შტატის ადგილი სახელმწიფო, საერობო ან საქალაქო სამსახურში ამა წლის 27 აპრილამდე.

გაწვეული ექიმები უნდა გამოცხადნენ ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვოგზალის ქ.) ამა წლის 9 მაისს, დილის 9 საათზე.

496 1—1 **ტფილისის ქალაქის გამგეობა.**

# ტფილისის საადგილ მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე-14 პარაგრაფის თანახმად, 1920 წ. ივნისში, ბანკის შენობაში, ქალ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქ., საჯაროთ გაიყიდება ქვემოთ დასახელებულ პირთა უძრავი ქონება, მათ მიერ სესხის შემოუტანლობის გამო, დაწესებ. ბანკის წესდების მე-12, 17, 27, 28 და 34 §§, 1920 წ. 1 იანვრიდან 1920წ. 1 ივლისამდე.

ვაჭრობა მოხდება 1920 წ. ივნისის 23-ს, და თუ ამ დღეს არ დამთავრდა, გაგრძელდება შემდეგ არა უქმე დღეებში.

თუ პირველი ვაჭრობა არ შესდგა დანიშნულ ვადაზე, მეორე და საბოლოო ვაჭრობა წესდების 20 § თანახმად, მოხდება 1920 წ. ივლისის 7-სა, ბანკის წესდების მე17-ე §-ის თანახმად, ვაჭრობა დაიწყება ქვემოთ აღნიშნულ თავნი ვალის ნაშთის თანხით და საერობო და საქალაქო დარჩენილ გადასახადის მიმატებით, რომელნიც აღმოჩნდება მამულზე ვაჭრობის დღეს.

ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ, მსურველმა უნდა წარმოადგინოს საწინდარი ნაღდ ფულათ, რომელიც უნდა უდრიდეს ბანკის დარჩენილ გადასახადსა და საერობო და საქალაქო დარჩენილ გადასახადის რაოდენობას, რომელიც აღმოჩნდება მამულზე ვაჭრობის დღეს. სიმტკიცის გადასახადი და ვაჭრობის დროს დამატებული მთელი თანხა მყიდველმა უნდა წარმოადგინოს ბანკში 14 დღის ვადაში ვაჭრობის შემდეგ.

მამულის თავნი ვალი შეიძლება გადავიდეს მყიდველზე, პატრონის ყველა ვალდებულებებით.

ბანკის წესდების მე 15 § თანახმად, პატრონს შეუძლიან შეიტანოს დარჩენილი გადასახადი ვაჭრობის დღემდე, რის შემდეგ მამული არ გაიყიდება.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია დაათვალიეროს საქმეები, რომელიც გასაყიდ მამულს ეხება, ბანკის კანცელარიაში.

ამასთანავე ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ თუ გასაყიდ მამულის პირველი აწერა არ შეედარა სინამდვილეს, ბანკი პასუხისმგებლობას არ კისრულობს.

## ქ. ტფილისის

აბაზა ლიუდმილა ზაქარიას ასული; შენობები მიწით, ზომით დაახლ. 191 კვ. ს., მე—10 უბ. ალექსავდრეს ქ., № 47 კ. ვალი—22.722 მან. 15 კ., დარჩ. გად, 1231 მან.

აბდულაევი, მირ ალია: შენობები მიწით, ზომით დაახლ. 567,19 კვ. ს. მე-3 უბ., ბებუთოვის ქ., № 64. კაპ. ვალი 19.265 მან. 53 კ., დარჩენ. გადას.—1047 მ. 25 კ.

აბოევი, გევორქ ივანეს ძე: მიწა, ზომით დაახლ. 1966 კვ. ს., მე-7 უბ., კახეთის ქ. კაპ. ვალი—4133 მ. 17 კ. დარჩენ. გადას—338 მ. 50 კაპ.

აბრამოვი, იუველ გარიბის ძე. შენობები მიწით, ზომით 56 კვ. ს., 1 უბ., „ვაკე“-ზე, „ვარაზის ხევი“-ს მარცხენა ნაპირას. კაპიტ. ვალი—1168 მ. 47 კ., დარჩენ. გადას.—163 მ. 20 კ.

აველისოვი, ალექსანდრე გრიგოლის ძე: შენობები მიწით, ზომით დაახლ. 95 კვ, ს., მე-2 უბ., დავითის და ყიფიანის ქ., № 17/8. კაპ. ვალი—18780 მ. 29 კ., დარჩ. გადას.—1191 მ. 50 კ.

აველისოვი, ლევან მარტინის ძე: შენობები მიწით, ზომით დაახლ. 213,5 კვ. ს., მე-7 უბ., კარაკლისის ქ. კაპ. ვალი—4562 მ. 1 კ., დარჩ. გადას. 286 მ. 55 კ.

აგნიევა, ელისაბედ სიმონის ასული: შენობები მიწით, ზომით დაახლ. 90 კვ. ს., მე-3 უბ., ტროიცკის ქ., № 6. კაპ. ვალი—9768 მან. 76 კ., დარჩ. გად.—643 მ. 75 კ.

ოკოპოვი, (იგივე ტერ-არუთინოვი) აკოპ გრიგოლის ძე: შენობები მიწით, ზომით დაახლ.—135 კვ. ს., 1 უბ. „ვაკე“-ზე. კაპ ვალი—558 მ. 64 კ., დარჩ. გად.—142 მ. 87 კ.

აქციონერული საზოგადოება „ტფილისის პირველი კერძო ლომბარდი“; შენობები მიწით, ზომით—540 კვ. ს., მიხეილის პროსპ., № 28, კაპ. ვალი—7595 მან. 1 კ., დარჩენ. გად.—7851 მ. 25 კ.

ალეკპერ ტაგი ზადე: შენობები მიწით, ზომით საბუთ. 210 კვ. ს., გაზომვით—196 კვ. ს., მე-5 უბ., ელიაროვის ქ., № 3 კაპიტ. ვალი—16035 მ. 98 კ., დარჩ. გად.—908 მ. 4 კაპ.

ალია მამედ-ოღლი და ასან მამედი ასკეროღლი: შენობები მიწით, ზომით—200 კვ. ს., 1 უბ. კლადბიშჩენსკი ქუჩა კაპიტ. ვალი—8712 მ. 56 კ., დარჩ. გად.—485 25 კაპ.

